რა აწუხებს ხალხს გურიაში?

ფოკუს ჯგუფის დისკუსიების შედეგები

ოქტომბერი 2020

„ოტია იოსელიანი რომ ამბობდა, მტრედებივით არიან [პოლიტიკოსები], არჩევნების დროს მოფრინდებიან და მერე ზევით დაფრინავენ.“

მამაკაცი, 48 წლის, საშუალო განათლებით, თვითდასაქმებული.

„არასდროს არცერთი მთავრობა, არცერთ ქვეყანაში არ მუშაობს დაბალი ფენის პირობების გაუმჯობესებისთვის. დაუნახაობა სასტიკი თვისებაა, რაც კეთდება, ის უნდა დავინახოთ, მაგრამ ეს ყველაფერი ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას არ ემსახურება. ეს ცალკეული შემთხვევები ხალხზე ზრუნვა არ არის, ეს გულის მოგებისთვის კეთდება და იმიტომ აკეთებენ, რომ არჩევნებია.“

ქალი, 46 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, სოფელი

სიღარიბე და უმუშევრობა

თურქეთში სეზონური სამუშაო იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბევრი ოჯახისთვის;

სეზონურ სამუშაოებზე არასრულწლოვნების მონაწილეობაც მაღალია;

პანდემიამ სეზონური შრომითი მიგრაცია გააჩერა და სიღარიბე გააღრმავა.

„უმუშევრობა არის ნომერ პირველი პრობლემა, პურის ფული არ აქვს ხალხს, წელს რომ ვერ წავიდნენ თურქეთში, ამან კატასტროფა გამოწვია, უმუშევრობა, უხელფასობა.“

ქალი, 35 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით

„. ეს ჩვენი მშობლებისგან მოდის, რომ აუცილებლად დიპლომი უნდა აიღო. პროფესიული სასწავლებლების პოპულარიზაცია უნდა მოხდეს. სოფლებში ინფორმაცია არაა, რომ შეუძლია ვინმეს, ონლაინ საიტი გაუკეთოს, მომსახურება გაუწიოს, სოფლებში საერთოდ არაფერზე ინფორმაცია არაა, რა შეიძლება გააკეთონ, ინტერნეტში რაღაც ნახონ, წაიკითხონ, ისწავლონ. აიღებენ დიპლომს და მუშაობენ მერე მარკეტებში 250 ლარად, ესაა ჩვეულებრივად მონობა, მაგრამ რაზე ვილაპარაკოთ, სოფლებში ინტერნეტი საერთოდ არაა.“

ალი, 30 წლის, დასაქმებული, პროფესიული განათლებით, ქალაქი

„არასრულწლოვნებიც კი გადადიან საზღვარგარეთ, არა მხოლოდ დიდები, რომ იმუშაონ. ჩემი ასაკის ახალგაზრდებმა ასეთ სამუშაოზე არათუ საზღვარგარეთ, საქართველოშიც არ უნდა იმუშაონ, ჩემი აზრით.“

ქალი, 18 წლის, სტუდენტი,

„უმუშევრობა სერიოზული პრობლემაა, ფსიქოლოგიურ პრობლემას იწვევს, გულგატეხილობას. აი, რატომ უნდა ვისწავლო? - ხშირად მესმის ბავშვისგან. არ ელოდება შედეგს, არ ჩანს. ვერ დასაქმდება, აი, დაამთავრა მაგისტრატურა და მუშაობს მარკეტში, ძალზე დაბალ ანაზღაურებაზე, დაუსაქმებლობა არის პირველი პრობლემა.“

ქალი, 54 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, სოფელი

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ხარისხი

სამედიცინო მომსახურება ძალიან ძვირია და უხარისხო;

საყოველთაო დაზღვევით მომსახურების მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია გრძელი და მოუწესრიგებელი რიგების გამო (უკმაყოფილებას ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებები იწვევენ, სადაც საყოველთაო დაზღვევით იღებენ სამედიცინო დახმარებას);

წამლები ძალიან ძვირია, მათ შორის, თურქეთთან შედარებით;

წამლების თურქეთიდან ჩამოტანა შეღავათი იყო, რაც ახლა შეუძლებელია.

„მასწავლებლის დაზღვევას ადრე უფრო ვიყენებდი. ახლა რაცაა, ვერ სარგებლობ, ან არ ექვემდებარება, ან აქ ,ჩვენთან, თუ დადექი, იმხელა რიგია, შეიძლება სამი დღე არ მოგიწიოს.ბოლოს ბავშვს გული შეუწუხდა, წავიყვანე, გადავიხადე ფული. ანალიზები, ექოსკოპია... შეიძლება სამი დღე ელოდო და ბოლოს ხელი ჩაიქნიო და წახვიდე. ბევრჯერ მქონია შემთხვევა, აქ დასმული დიაგნოზის შესახებთბილისში მეკითხებიან: სად გადაიღე, ოზურგეთში? მაშინ გთხოვთ, გადაამოწმოთ. ამიტომ ვიხდი ჩემი ფულით. კერძო დაზღვევა არ გამიკეთებია, სახელმწიფო დაზღვევა გინდა გქონია, გინდ - არა. ოზურგეთში ექიმთან საერთოდ აღარ მივდივარ.“

ქალი, 49 წლის, დასაქმებული, ქალაქი

„მოუწესრიგებელია ყველაფერი და ეს იწვევს უნდობლობას ამ სისტემის მიმართ. მიხვალ იქ და, ჯანმრთელი, ავადმყოფი - ყველა ერთად ირევა, რიგებია, მოუწესრიგებელია ყველაფერი.“

ქალი, 54 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, სოფელი.

„არ ვარ კმაყოფილი ჯანდაცვის მომსახურებით, ხარისხით. ამიტომ მივდივართ უფრო ხშირად სხვაგან: ან ბათუმში, ან თბილისში. არასწორი დიაგნოზი, არასწორი მკურნალობა ამბულატორიის დონეზეც კი! თუ ადამიანს პატრონი ჰყავს, წაიყვანოს უნდა სადმე. და, რა თქმა უნდა, მედიკამენტების სიძვირე! 50 ლარი კონსულტაცია! რა უბედურებაა, რომ მიხვალ ექიმთან, 200-300 ლარი უნდა გქონდეს . ხელფასი გვაქვს დაბალი, მომსახურების ღირებულებაა მაღალი.“

ქალი, 43 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, სოფელი

„სამედიცინო მომსახურება ძვირია, ანაზღაურება და ხელფასები დაბალია. წამლები ყველაზე ძვირიანი უნდა გამოგიწერონ, ამიტომ ბევრი გადადიოდა თურქეთში, აქ სამჯერ უფრო მეტი ღირდა.“

ქალი, 25 წლის, უმუშევარი, საშუალო განათლებით, ქალაქი

განათლების სისტემის გაუმართაობა

საჯარო საბავშვო ბაღებში აღმზრდელების კვალიფიკაცია დაბალია;

სასკოლო განათლების ხარისხი დაბალია პედაგოგების ანაზღაურებისა და სხვა მხარდაჭერის ნაკლებობის გამო;

დისტანციურმა სწავლებამ არ გაამართლა მასწავლებლების უნარების არაადეკვატურობისა და ინტერნეტის მიუწვდომლობის გამო.

„მასწავლებელი ვარ და ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, ჩემი აზრით, განათლების სისტემამ მასწავლებელს დაუსახა ერთი ამოცანა: იბრძოლოს გადარჩენისთვის და სხვა მას უკვე აღარაფერი არ აინტერესებს. მასწავლებელი ფიქრობს მარტო კრედიტებზე, გამოცდაზე, რომ არ დარჩეს სკოლის გარეთ და მოსწავლისთვის დრო არ რჩება. სისტემა ცუდად ვითარდება.“

ქალი, 35 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, დაბა.

„სწავლების მეთოდი არის მოძველებული, გადმოცემის უნარი არის დაბალი. მასწავლებელი გამოცდას ყოველთვის ჩააბარებს და მიიღებს ქულას, მაგრამ კარგი იქნება, თუ მასწავლებელს ანაზღაურება იქნება იმის მიხედვით, ჯგუფში რამდენი წარმატებული ბავშვია. არ ჰყოფნის კიდევ ზოგ მასწავლებელს გადამზადება. პრიორიტეტი უნდა იყოს განათლება, თუ ადამიანი განათლებულია, სახელმწიფო ძლიერია.“ - კაცი, 48 წლის, საშუალო განათლებით, თვითდასაქმებული, დაბა.

„ეს სასწავლო პროცესი ტანჯვა იყო, გადაიყვანეს ბავშვები ონლაინზე, როგორ გადაგყავს, როგორ აკეთებ, როცა ინტერნეტზე წვდომა არ აქვთ, მოხმარება არ იციან, მეილი არ იციან.“-

ქალი, 30 წლის, დასაქმებული, პროფესიული განათლებით, ქალაქი.

„ბაღში რომ მივიყვანე ბავშვი, ძალიან ცუდი სიტუაცია იყო. ყოველთვის ვერ იქნება ისე, რომ ბაღში მასწავლებელი შენი ნაცნობი იყოს და შენს ბავშვს განსაკუთრებულად მიხედოს. არც უნდა იყოს ასე, მე ამას არ ვითხოვ, მაგრამ ბავშვი ჩემ თვალწინ გაილახა იმის გამო, რომ მარჯვენა და მარცხენა ფეხსაცმელი აერია. ეს საშინელებაა, ასეთი რაღაც არ უნდა ხდებოდეს. მე გამოვიყვანე ბავშვი და ქალაქის ბაღში მივიყვანე. შეიძლება იქაც ხდება, მაგრამ მე არ გამიგია. მით უმეტეს დღეს აღმზრდელები ათასნაირ გადამზადებას გადიან, ატრენინგებენ და მაინც ასე იქცევიან.“

ქალი, 40 წლის, დასაქმებული, სოფელი.

„ინტერნეტი არ არის და თუ ისევ დისტანციური სწავლება გახდა საჭირო, არ ვიცი, რა იქნება.“

ქალი, 33 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, საშუალო განათლებით, სოფელი.

„მე თვითონ მასწავლებელი ვარ და ვიცი: არის ამ სფეროში სიახლეები, გამოცდები ტარდება, მასწავლებლები იმაღლებენ კვალიფიკაციას, მაგრამ, ვფიქრობ, ფსიქოლოგიის კურსები უნდა იყოს მასწავლებლებისთვის. დისტანციური სწავლება კიდევ რა პრობლემებს შექმნის და გამოაჩენს, ეს ჯერ არ ვიცით, არ ჩანს, მაგრამ ასე მგონია, მერე გამოჩნდება ამით გამოწვეული სერიოზული პრობლემები. მასწავლებლები ამისთვის არ ვართ მზად.“

ქალი, 46 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, სოფელი.

წყლისა და კანალიზაციის გაუმართავი სისტემა

წყლის პრობლემა ჯერაც გადაუჭრელია. სადაც წყალი არის, გაუფილტრავი და სასმელად უვარგისია;

ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა დასაქმებას უშლის ხელს;

კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურა შეზღუდულია და განსაკუთრებით გოგონები ზარალდებიან ამით;

ინტერნეტის ხელმიუწვდომლობა აზარალებს დისტანციურ სწავლებასაც, თვითგანათლებასა და დასაქმების შესაძლებლობებსაც ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის;

პარკები და საზოგადოებრივი სივრცეები მოუწესრიგებელია ან საერთოდ არ არსებობს.

„მერიაში საერთოდ არ არის წყალი, ზაფხულში ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. ეს ხრეში გააქვთ, მდინარეები დაშრა, ჭაში წყალი აღარ არის.“

ქალი, 50 წლის, უმუშევარი, სოფელი.

„ოზურგეთში სამსახური რომც ვნახო, ვერ ვიმუშავებ, იმიტომ რომ მაშინ ტაქსიში წამივა მთელი ფული ან ნაცნობი უნდა ვეძებო, ვინც წამიყვანს და წამომიყვანს, ტრანსპორტი არ დადის საერთოდ.“

ქალი, 33 წლის, უმუშევარი, საშუალო განათლებით, სოფელი.

„ჩვენთან, სკოლის გარდა, არაფერი არაა, სპორტსმენი ბიჭები არიან, საქართველოსთვის წარმატებით რომ გამოდიან. ჩემი შვილიც, მაგალითად, სპორტსმენია, ჩემი მეზობელი ძალიან წარმატებული სპორტსმენია, მაგრამ გამვლელს თუ გაჰყვა,გაჰყვება. არ აქვს ყველას საშუალება, რომ ქალაქში იაროს.“

ქალი, 35 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, დაბა.

„ვინც იცის უცხო ენა ან რუსული, ოღონდ კარგად, აქვს უკეთესი სამსახური, უკეთესი ანაზღაურება, ნაკლები შრომა უწევს, არის უკეთეს პირობებში. უცოდინარი არავის არ უნდა, მაგრამ ჩვენს ასაკშიც არაა იმდენი შესაძლებლობა, იმდენი ტრენინგი, რაიმე ახალი ისწავლო. ინტერნეტი მაინც რომ იყოს სოფელში, თავისუფალ დროს კიდევ რაღაცას იზამ, წაიკითხავ. ჩემი შვილი ტელეფონის ინტერნეტით კორეულს სწავლობს, იმის ასაკი სხვაა, ჩემი -სხვა.“

ქალი, 33 წლის, უმუშევარი, საშუალო განათლებით, სოფელი.

„წყალმომარაგებას გვპირდებიან, გურიის რეგიონში წყლის პრობლემა რატომ უნდა იყოს?“

ქალი, 43 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, სოფელი.

„დვაბზუ ახლოსაა ქალაქთან და აქედან ადვილია ჩასვლა. ადრე ძიმითში ვცხოვრობდი, იქიდან ვერ ივლი. ცეკვაზე ან რამეზე რომ იარო, თუ გაგასწრებს ერთი ,,მარშუტკა“, მერე უნდა ეხვეწო ან ერთს, ან მეორეს, რომ წაგიყოლოს, ან უნდა დარჩე ქალაქში და ეს გოგოსთვის მით უფრო ძნელია.“

ქალი, 22 წლის, უმუშევარი, საშუალო განათლებით, სოფელი.

„ახალგაზრდები უპერსპექტივოდ არიან. რეალიზაციის საშუალება არ აქვთ. არაფერი არ ტარდება. ტოტალიზატორი არის ერთადერთი გასართობი ახალგაზრდებისთვის და რამდენი ახალგაზრდა ანიავებს ასე მშობლებისგან გამოგზავნილ ფულს.“

ქალი, 25 წლის, უმუშევარი, საშუალო განათლებით, ქალაქი.

„პარკები ნორმალურად მოწესრიგებული არ არის, გუშინ მთელი ქალაქი შემოვიარე, რომ ბავშვთან ერთად დავმჯდარიყავი, უხარისხოდაა ყველაფერი გაკეთებული, არაკომფორტულად, ვერსად ვერ ჩამოჯდები, რომ დაისვენო, ძაღლები მოგვადგნენ, ყველგან მაწანწალა ძაღლები არიან.“

ქალი, 25 წლის, უმუშევარი, საშუალო განათლებით, ქალაქი.

კორუფცია

უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები

ნეპოტიზმი საჯარო სამსახურში

„ვისურვებდი, ბევრად უკეთესი ბაღი გვქონდეს, საბავშვო ბაღი. შერემონტდა, გაკეთდა, მაგრამ მერე ისევ წყალი ჩამოვიდა.“

ალი, 40 წლის, დასაქმებული, სოფელი.

“ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურა, ტენდერები- აი, ამ ყველაფერს ვინ აკონტროლებს? კონტროლი არის საერთოდ? სტადიონს გააკეთებენ, მეორე წელს აღარ არის, აღარ ვარგა, რა თანხა ჩაიდო, სად წავიდა, ვინ იგებს ამ ტენდერებს?!“

ქალი, 30 წლის, დასაქმებული, პროფესიული განათლებით, ქალაქი.

„ჩემს რაიონში ,,ტრადიციად“ არის ნათესავების დანიშვნა, ან დანიშვნა პოლიტიკური ნიშნით, გარდა ამისა, თბილისმა უნდა დარეკოს. დამლაგებლად რომ დაინიშნოს ადამიანი, იმასაც რეკომენდაცია თბილისმა უნდა მისცეს.“

მამაკაცი, 48 წლის, თვითდასაქმებული, საშუალო განათლებით, დაბა.

„თითქოს ყველაფერი კეთდება, მაგრამ ჩემი აზრია, რომ არაპროფესიონალები აკეთებენ. მილიონ ორასი ათასი რომ იხარჯება წყალზე, მაგალითად, ჩემს სოფელში და წყალი რომ მაინც არ არის, ეს არაპროფესიონალიზმის ან გულგრილი დამოკიდებულების ბრალია, ან იგებენ ტენდერს და აკეთებენ არა პრობლემის მოგვარებისთვის, არამედ, უბრალოდ, გაკეთებისთვის.“

ქალი, 54 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, სოფელი.

უსაფრთხოება

ფიზიკური უსაფრთხოების შიში ნაკლებად, მაგრამ არის;

სამართალდამცველების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა;

სამომავლოდ მდგომარეობის გაუარესების შიშია.

„ყველაზე მეტად მე რაც მანერვიულებს, არის ის, რომ ძალიან ბევრი თვითმკვლელობა და მკვლელობაა და მეშინია. სამი პატარა მყავს და როგორ უნდა გაიზარდონ, როგორ იცხოვრონ ამ ქვეყანაში?! მგონია, რომ ისინი იქნებიან დაუცველები.“

ქალი, 22 წლის, უმუშევარი, საშუალო განათლებით, სოფელი.

„მე მქონია შეხება [სამართალდამცველებთან]და ასე მგონია, მათ როგორც აწყობთ, ისე იზამენ.“

„ჩემი აზრით, არ მუშაობს პოლიცია გამართულად. უსამართლობას ვხედავ ბევრს და პოლიცია თავის საქმეს ვერ აკეთებს. ქურდული სამყაროც ამ ბოლოს გააქტიურებულია.“

ქალი, 25 წლის, საშუალო განათლებით, ქალაქი.

„ნდობა არაა პოლიციის მიმართ, ტელევიზორში ადვოკატი ქალი ამბობდა, 112-ზე არ დავრეკავო, თვითონ არ ენდობა ამ სტრუქტურის წარმომადგენელი. თუ დარეკავ, დაცული ხარ, 112-ში რომ დარეკავ, იმწამსვე გაჩნდება პატრულიც, სასწრაფოც. სოფელში ყაჩაღობა არ ხდება.“

ქალი, 43 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, სოფელი.

„ეს [კრიმინოგენული სიტუაცია] ზემოდან უნდა მოწესრიგდეს, ხალხში დაუცველობის განცდა არის. ლიხაურში დაჭრა ერთმა მეორე, კაციშვილმა არ იცის, იმას პასუხს აგებინებენ თუ არა.“

ქალი, 46 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, სოფელი.

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხადრაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭრით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს USAID, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ის შეხედულებებს. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCC